ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №263

(„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვა)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2014 წლის 16 ივნისს ქ. თბილისში.

შემსყიდველი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის ნინო მურჯიკნელის სახით.

მისამართი: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქუჩა №12, ტელეფონი 299-10-76

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ა/ა №200122900, ს/კ 203840433

მიმწოდებელი: შპს "ბოჰემა 2012"

საინდეტიფიკაციო კოდი: 404418518

მისამართი: ქ.თბილისი, გრიშაშვილის ქ.N11. ტელ:574 007 005;

ხელმძღვანელი: დირექტორი მარიამ შადური

საბანკო რეკვიზიტები: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"; ბანკის კოდი UGEBGE22; ანგარიშის № GE36VT7000000116363602.

ერთი მხრივ – **შემსყიდველი**, და მეორე მხრივ – **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში რესტორნის მომსახურების შესყიდვა (CPV-55330000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულებაა: **270.00 ლარი.**

ორასსამოცდაათი ლარი და 00 თეთრი

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან.

4. მხარეთა უფლება–მოვალეობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველს გაუწიოს რესტორნის მომსახურება (რესტორანი "ბოჰემა 2012"), 2014 წლის 16-19 ივნისს კომპანია Jumeirah Group-ის დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში, 2014 წლის 16 ივნისს დაგეგმილ ვახშამთან დაკავშირებით (4 პერსონა);

ბ) მომსახურება განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

4.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება;

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა)მიმწოდებლისგან მოითხოვოს მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებში;

ბ)შეამოწმოს მომსახურების გაწევის ხარისხი, მომსახურების გაწევის მიმდინარეობა;

ფინანსური ინსპექტორი
16 06 2014 წ.
3 ფურცელი

გ)მონიტორინგის შედეგად მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან შეწყვიტოს (არ განახორციელოს) მიმწოდებლის დაფინანსება.

5. ხარისხი

5.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმება.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს გაწეული მომსახურების ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს: მინისტრის მოადგილეს ქეთევან ბოჭორიშვილს, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება.

6.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

6.3 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი გაწეული მომსახურების დადასტურების და ანაზღაურების მიღების მიზნით შემსყიდველს წარმოუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია. ანგარიშსწორების სავალდებულო წინაპირობა მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად არის ანგარიშ-ფაქტურა (თუ არ არის დღგ-ს გადამხდელი წარმოადგინოს ცნობა).

6.5 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება მინისტრის მოადგილეს ქეთევან ბოჭორიშვილს.

7. ანგარიშსწორების წესი

7.1 გაწეული მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 6.4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

7.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი;

7.3 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

8. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

8.1 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი, გრიშაშვილის N11, რესტორანი „ბოჰემა 2012".

8.2 მომსახურება უნდა განხორციელდეს **2014 წლის 16 ივნისს.**

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 17 ივლისის ჩათვლით.

10. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულებისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.2 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

10.3 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10.4 არაჯეროვნად შესრულებას წარმოადგენს უხარისხო მომსახურების გაწევა. ამასთან, არაჯეროვნად გაწეულად მიიჩნევა ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც ნაკისრი აქვს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით, გარდა 10.5 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

10.5 მიმწოდებლის მიერ დაგვიანებით შესრულებას წარმოადგენს მომსახურების გაწევის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის დარღვევა, რისთვისაც შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

შეთანხმებულია იურიდიულ დეპარტამენტთან
16 06 2014 წ.
3 ფურცელი

10.6 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.7 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მხარეთა ნების გამოვლენასთან, შეცდომებსა და დაუდევრობასთან და გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი ან/და გამოწვეულია დაუძლეველი ძალის დადგომით, ამასთან აღნიშნული გარემოება მხარეთა მიერ შესაძლოა განხილულ იქნას როგორც ფორს–მაჟორი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული გარემოებების დადგომა უშუალოდ უშლის ხელს მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებას.

11.3 ხელშეკრულების მიზნებისათის „ფორს–მაჟორად" მიჩნეული შეიძლება იყოს საომარი ან საგანგებო მდგომარეობა, სტიქიური უბედურება, ეპიდემია, კარანტინი, საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული მორატორიუმი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება და სხვა.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების გზით და ურთიერთშეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ირგვლივ.

12.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს დავის გადაწყვეტის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13.2 ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

14. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველის მხრიდან	მიმწოდებლის მხრიდან
საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი	**შპს "ბოჰემა 2012"**
ნინო მურჯიკნელი	**დირექტორი**
	შარიამ შალური

16 06 2014 3

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

37526295353014

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140556724

რეგისტრაციის თარიღი

02.06.2014 წ

ნოტარიუსი: ირინე ნანობაშვილი
მისამართი: თბილისი, მ.წინამძღვრიშვილის ქ.#1/ტოლსტოის ქ. #5 (ვორონცოვის მოედანი)
ტელეფონი: + 995(32)2951709 მობილური ტელ: 599 509 803

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

2014 (ორიათასთოთხმეტი) წლის 02 (ორი) მაისს, მე, ნოტარიუსს ირინე ნანობაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე - ქ. თბილისი, მ.წინამძღვრიშვილის ქ. №1/ტოლსტოის ქ. №5, მომმართა **მარიამ შადურმა, როგორც შპს "ბოჰემა 2012"-ის (ს/კ 404418518) დირექტორმა** (თანახმად მის მიერ წარმოდგენილი ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან,განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B14011223 გაცემის თარიღი: 06/02/2014), რომელმაც მოითხოვა ინგა ხარებაშვილის სახელზე მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე **მარიამ შადურის** პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **მარიამ შადურმა, დაბ.: 09.06.1984 წელს, პირადი №01017017502,** დაბადების ადგილი: თბილისი, რეგ.მისამართი: თბილისი, გ. ტაბიძის ქ. №19, ბ/მ №ა 1108225, გაც.: სრს მთაწმინდა-კრწანისის სამს. მიერ 01.11.2007 წელს, **როგორც შპს "ბოჰემა 2012" (ს/კ 404418518) დირექტორმა, მომმართა.** მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობდა. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, განვუმარტე მინდობილობის შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. **მარიამ შადურმა,** განაცხადა, მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი, ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, მარიამ შადური, დაბ.: 09.06.1984 წელს, პირადი №01017017502, როგორც შპს "ბოჰემა 2012" (ს/კ 404418518) დირექტორი, - შემდგომში "მინდობი"

უფლებამოსილებას ვანიჭებ: ინგა ხარებაშვილის, **დაბ.: 19.05.1988 წელს, პირადი №13001027239,** დაბადების ადგილი: რუსეთი, რეგ.მისამართი: გურჯაანი, სოფ. ველიცსიხე ქ. 19 № 128 , - შემდეგში "მინდობილი პირი" - იყოს შპს " ბოჰემა 2012"-ის (ს/კ 404418518) დირექტორის წარმომადგენელი და განახორციელოს საზოგადოების წესდებით დირექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილ(ებ)ები. მათ შორის:

- მართოს და განკარგოს შპს " ბოჰემა 2012"-ის ანგარიშ(ებ)ი "ვითიბი" ბანკში და აწარმოოს აღნიშნულ ოპერაციები: ანგარიშის გახსნა/დახურვა, თანხის შეტანა, გამოტანა, გადარიცხვა, კონვერტაცია ანგარიშზე, აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება, მიიღოს ბანკის სხვადასხვა პროდუქტები (ტერმინალი, ინტერნეტბანკი), ისარგებლოს ბანკი-კლიენტისა და ინტერნეტბანკინგის მომსახურებით, მიიღოს ინფორმაცია ნებისმიერი ტიპის დავალიანების შესახებ აწარმოოს საბანკო დაწესებულებებში დოკუმენტალური ოპერაციების (საბანკო გარანტია, აკრედიტივი, ინკასო და სხვა) წარმოების უფლებამოსილება; მათ შორის, ერთმნიშვნელოვნად მიენიჭოს უფლებამოსილება ხელი მოაწეროს დოკუმენტალურ ოპერაციებთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებს, განაცხადებს/განცხადებებს, ~~გადარიცხვებს და ა.შ., შეიტანოს მათში ნებისმიერი სახის ცვლილება და/ან დამატება,~~ დამოუკიდებლად, თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს მათი პირობები და შინაარსი, აგრეთვე, დოკუმენტალური ოპერაციების წარმოების მიზნით.
- წარმოადგინოს შპს "ბოჰემა 2012" ნებისმიერ ორგანიზაცია-დაწესებულებ(ებ)თან, მათ შორის: იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტთან, გაფორმების ეკონომიკურ ზონა (გეზ)-თან ურთიერთობებში;
- წარმოადგინოს საზოგადოება, როგორც გადამხდელი საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობებში, განახორციელოს საგადასახადო ვალდებულებათა შესრულება, წარადგინოს და/ან მიიღოს ნებისმიერი განცხადებები, დეკლარაციები, ცნობები, შედარების აქტ(ებ)ი და ამონაწერები, გამოწეროს საგადასახადო ანგარიშ/ფაქტურები და სასაქონლო ზედდებულები, მიიღოს ნებისმიერი ცნობა, გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახად(ებ)ი; განახორციელოს საგადასახადო ვალდებულებათა შესრულება; მონაწილეობა მიიღოს საგადასახადო ორგანოებში, მიმდინარე ნებისმიერ ადმინისტრაციულ საქმისწარმოებაში, რომლის მხარეს (დაინტერესებულ პირს) წარმოადგენს საზოგადოება, ამასთან შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება რაც საჭირო გახდება მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილებ(ებ)ის განსახორციელებლად და მოაწეროს ხელი.

მინდობილობა გაცემულია 4 (ოთხი) თვის ვადით – 2014 (ორიათასთოთხმეტი) წლის 02 (ორი) ოქტომბრამდე. "მინდობილ პირს" - ინგა ხარებაშვილს უფლება არ აქვს აღნიშნული მინდობილობა გადაანდოს სხვა პირს. მინდობილობა შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის ირინე ნანობაშვილის სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო 2 (ორი) ეგზემპლარი გადაეცა "მინდობს".

მინდობი ---------- მარიამ შადური ----------

გადახდილია: 12.00 (თორმეტი) ლარი. მათ შორის სანოტარო მომსახურების საზღაური – 10.00 (ათი) ლარი, "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, აგრეთვე, ელ. სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური -- 2 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით), ამავე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად.

ნოტარიუსი ირინე ნანობაშვილი